საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1671 2016 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შპს „კაფსულოსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე „ავტოვაზის“ მიმდებარედ არსებული 12064 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.18.005.102) და ამავე მისამართზე არსებული 4928 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.18.005.104) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 412 000 (ოთხას თორმეტი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „კაფსულოს“ (ს/კ: 405139425).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, გადასაცემ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე ყავის გადამამუშავებელი საწარმოსა და

საჩვენებელი/საგამოფენო დარბაზ(ებ)ის შექმნა, აღჭურვა, ფუნქციონირების დაწყება და ეზოს კეთილმოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) გადაცემული უძრავი ქონების ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, გამწვანებას, გარე განათებას, არანაკლებ 20 (ოცი) ავტომობილზე გათვლილ ავტოსადგომს);

გ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 11 277 000 (თერთმეტი მილიონ ორას სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწარმო(ებ)ში არანაკლებ 30 (ოცდაათი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. შპს „კაფსულო“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით,

განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**